

შპს “ენკოსი”

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დირექტორი: გურამ ლემონჯავა



1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ენკოსი“ 405404263 (შემდგომში-„კომპანია“) არის 2020 წლის 22 ივლისს დაფუძნებული კომპანია. კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება“. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, მირიან მეფის ქ. 68 ა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: საინჟინრო საქმიანობები და მათთან დაკავშირებული ტექნიკური კონსულტირება, წყალგაყვანილობის, გათბობის და ჰაერის კონდიციონერების სისტემების მონტაჟი, ელექტროტექნიკური და სამონტაჟო სამუშაოები, ელექტრო მოწყობილობის რემონტი. კომპანიის დამფუძნებლები (მესაკუთრეები) არიან ფიზიკური პირები: გურამ ლემონჯავა -46,5% , დიმიტრი ყიფიანი -33,5%, ალექსანდრე მაისურაძე -5%, ვახტანგ კაიშაური -5 %, გურამ ბაწელაშვილი -5 %, ალექსანდრე მაისურაძე -5%, ეკატერინე შუბითიძე -5%. კომპანიის დირექტორს წარმოადგენს გურამ ლემონჯავა. შპს ენკოსი ფლობს შემდეგ სატრანსპორტო საშუალებებს: MERSEDES C300 NISAN SERENA და ასევე სხვადასხვა ძირითად საშუალებებს.

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, ეროვნულ ვალუტაში და მრგვალდება უახლოეს მთელ რიცხვამდე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს ვალუტა ყველაზე მისაღებია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის და კარგად ასახავს კომპანიის მოვლენებისა და ოპერაციების ეკონომიკურ შინაარსს. ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე თუ სხვა რამ არაა აღნიშნული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სჯერათ, რომ არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა რამაც შეიძლება საფრთხე

დირექტორი: გურამ ლემონჯავა

შეუქმნას კომპანიის ფუნქციონირებადობას, შესაბამისად საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

ფინანსურ -ანგარიშგებაში საოპერაციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ცალ-ცალკე პირდაპირი მეთოდით

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური ეროვნული ბანკის გაცვლით კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშო წლის ბოლოს 31-დეკემბერს არსებული კურსით.

კომპანიას აქ გააჩნია სალარო აპარატი.

კომპანიას საბანკო ანგარიში გახსნილი აქვს თიბისი ბანკში, როგორც ლარის, ასევე ევროს ანგარიში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით.

ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადადის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

2.1 შემოსავლის აღიარება

სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ამონაგები აღიარდება, როდესაც (ან როგორც კი) პირი შეასრულებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან/და მომსახურების მომხმარებლისთვის

დირექტორი: გურამ ლემონჯავა

გადაცემით გზით. საქონელი ან/და მომსახურება გადაცემულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, როდესაც (ან როგორც კი) მომხმარებელი მოიპოვებს მოცემულ აქტივზე კონტროლს.

შემოსავალი აღიარდება მომავალში მისაღები თანხების სამართლიანი ღირებულებით რაც ასახავს სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების ან/და მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მოსალოდნელ მისაღებ საზღაურს, რომლიდანაც გამორიცხულია, ფასდაკლება, უკან დაბრუნება და დამატებული ღირებულების გადასახადი.

კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება შესასრულებელ ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან როგორც კი) კომპანია შესასრულებელ ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს შესასრულებელი ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

2.2. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა .

ძირითადი საშუალებების აღიარების კრიტერიუმები მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები შემოსავალში ტავდაპირველად გაიტვალისწინება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს ნასყიდობის ფასს, საინჟინტო საბაჟო გადასახდელებს, არადაბრუნებად გადასახადებს, ტრასპორტირების, დაცლა-დატვირთვის, იურიდიულ და საბროკერო, სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს.

ცვეთა ერიცხება მისი ექსპლუაციაში შევლის დღიდან წრფივი მეთოდით მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

დირექტორი: გურამ ლემონჯავა



მანქანა-დანადგარი	3-10
ოფისის აღჭურვილობა	3-5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-5
საავტომობილო საშუალებები	10

ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი -ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

2.3 არამატერიალური ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

არამატერიალური ძირითადი საშუალება შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს ნასყიდობის ფასს. არამატერიალურ ძირითად საშუალებას ვარიცხავთ ცვეთას და არ ვიხდით ქონების გადასახადს. არამატერიალური აქტივის გამოყენების ვადა განისაზღვრება მისი გამოყენების პერიოდის მიხედვით, სხვა შემთხვევაში არაუმეტეს 10 წლის ვადით.

არამატერიალურ აქტივს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით.

ფინანსურ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივი აისახება ნარჩენი ღირებულებით თვითღირებულებიდან დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურებული ზარალის გამოკლებით.

3.1. სასაქონლო მატერიალური მარაგების აღრიცხვა

სასაქონლო-მატერიალური მარაგები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი ღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრასპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

სასაქონლო -მატერიალური მარაგების აღრიცხვი მეთოდი-უქყვეტი

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდი -საშუალო შეწონილი

სათადარიგო ნაწილები ჩამოიწერება რემონტის ხარჯებში აქტის საფუძველზე

კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის ნივთები და მასალები (კარტრიჯი, აიტი მომსახურება) მარაგებში აისახება და ჩამოიწერება ხარჯში.

4. მოთხოვნისა და ვალდებულებების აღრიცხვა

სავაჭრო მოთხოვნები და ვალდებულებები აღირიცხება განცალკევულ ანგარიშზე 1410-ზე და 3110 -სავაჭრო ვალდებულებები მოწოდებიდან

დირექტორი: გურამ ლემონჯავა

3110 -ის სუბ ანგარიშზე აღირიცხება ვალდებულებები ფიზიკური პირიდან და ასევე მეწარმე ფიზიკური პირიდან, მომწოდებლისათვის, გარდა აქტივის მომწოდებლისა, გადახდილი ავანსები, წინასწარ გაწერული ხარჯები აღირიცხება 1790 ანგარიშზე.

5. მოთხოვნები თანამშრომელზე გაცემული სესხიდან

1451 ანგარიშზე აისახება თანამშრომელზე გაცემული სესხი და მისაღები პროცენტები აისახება 8110 ანგარიშზე.

6. გრძელვადიანი სესხების აღრიცხვა;

გრძელვადიანი სესხები აისახება 4140 ანგარიშზე და შესაბამისი დარიცხული პროცენტები აისახება 8210 ანგარიშზე

7. შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა და მოგება-ზარალის ანგარიშგება;

შემოსავლებისა და ხარჯების არტიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდით,

ამონაგები აღირიცხება 6110 ანგარიშზე დაბეგრულ ბრუნვაზე, როგორც საქონლის რეალიზაციიდან ასევე მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი.

8. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები აისახება 8130 , 8180,8182, 8190

9. ხარჯების აღრიცხვა;

ძირითადი მასალების დანახარჯები - 7110

ძირითადი საშუალებების ცვეთა - 7170

გაყიდული საქონლის თვითღირებულება- 7210

ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები - 7340

მიწოდების სხვა ხარჯები - 7390

შრომის ანაზღაურება - 7410

სოციალური ხარჯები- 7415

საიჯარო ქირა- 7420

კომუნალური მომსახურება - 7431

სამივლინებო ხარჯები - 7436

დაზღვევის მომსახურება - 7435

მანქანის რემონტი - 7440

კომპიუტერის ხარჯები - 7445

სხვა საერთო ხარჯები- 7490

10. არასაოპერაციო ხარჯების აღრიცხვა ;

დირექტორი: გურამ ლემონჯავა

არასაოპერაციო ხარჯები აღირიცხება 8200; არასაოპერაციო ზარალი 8220, კონვერტაციის ხარჯი 8280, დამრგვალების ხარჯი 8282, სხვა არასაოპერაციო ხარჯები 8290

11. საგადასახადო ვალდებულებების აღრიცხვა;

კომპანია რეგისტრირებული დღე-გადამხდელად, მოგების გადასახადით იბეგრება „ესტონური მოდელით“. დაბეგრის ობიექტი და დაბეგრის წესი განისაზღვრება საგადასახადო კოდექსით.

მსს ფასს-ის მე-3 განყოფილების თანხმად ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტთან განსხვავებით განსხვავებული ნორმები აისახება საგადასახადო ანგარიშგებაში.

საგადასახადო ვალდებულების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებაში დეკლარირებული გადასახადის ოდენობით.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი წამოიქმნება საქონლისა და მომსახურების კლიენტისათვის გადაცემისას, რომლის გადახდის ვალდებულება კომპანიას წარმოექმნება არა უგვიანეს ოპერაციის განხორციელების თვის მომდევნო თვის თხუთმეტი რიცხვისა. გადასახდელი დღე მცირდება ჩასათვლელი (გადასახადის გადამხდელის უფლება შეიმციროს გადასახადები) დღე-ს თანხებით ჩათვლის დოკუმენტის არსებობის პირობებში. საგადასახადო ორგანოები ნებას რთავენ კომპანიებს განეტონ დღე-ს გადასახდელი და ჩასათვლელი თანხები. გაყიდვასთან ან შესყიდვასთან დაკავშირებული დღე აღიარებულია და გამჟღავნებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხებით. როდესაც მოსალოდნელია დებიტორული დავალიანების გაუფასურება, გაუფასურების ხარჯი აღირიცხება ბრუტო თანხით, დღე-ს ჩათვლით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს გარკვეულმა მოვლენებმა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ ხდება. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძველში, საზოგადოდ, განსაზღვრულია ორი ტიპის მოვლენა:

- ა) მაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) არსებულ პირობებზე; და
- ბ) არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა ფინანსური ანგარიშგების თარიღის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) შემდგომ პერიოდში.

დირექტორი: გურამ ლემონჯავა

2022 წლის 31 დეკემბრის შემდეგ ამ ანგარიშების შედგენამდე პერიოდში კომპანიის საქმიანოებაში აღილი
არ ქონია რაიმე მნიშვნელოვან მოვლენას.

დირექტორი: გურამ ლემონჯავა



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარიში)

	2024 წ	2023 წ
აქტივები		
მიმდინარე აქტივები	437 701	429 899
ნაღდი ფული და მათი ეკვივალენტები	75 889	99 282
მიმდინარე მოთხოვნები	134 626	197 286
სასაქონლო მატერიალური მარაგები	159 973	129 578
გადახდილი ავანსები	35 146	3 753
გაცემული სესხები	30 000	
მიღებული პროცენტები	2 067	
გრძელვადიანი აქტივები	96 775	25 826
ძირითადი საშუალებები და აღჭურვილობა	88 617	16 147
არამატერიალური აქტივი	8 158	9 679
აქტივების ჯამი	534 476	455 725
კაპიტალი და ვალდებულებები		
მიმდინარე ვალდებულებები	421 931	171 402
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	40 338	145 968
მიღებული ავანსები	381 593	9 666
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		15 768
გრძელვადიანი ვალდებულებები	206 092	191 269
სასესხო ვალდებულებები	206 092	191 269
კაპიტალი	(93 547)	93 054
გაუნაწილებელი მოგება	93 054	40 597
	(186	
სააგარიშო პერიოდის მოგება-ზარალი	601)	52 457
კაპიტალისა და ვალდებულებების ჯამი	534 476	455 725

დირექტორი: გურამ ლემონჯავა

საქმიანობების შედეგები

(ლარი)

2024 წ

2023 წ

	2 312	
შემოსავალი	077	3 175 677
საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული	2 312	
შემოსავალი	077	3 175 536
სხვა საოპერაციო შემოსავალი		141
გაყიდული საქონლის დაბრუნება		
	(2 457	
საოპერაციო ხარჯები	726)	(3 088 696)
ძირითადი მასალების დანახარჯები	(24)	(10 024)
ძირითადი საშუალებების ცვეთა	(10 629)	(4 764)
	(1 332	
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	011)	(2 226 577)
შეძენილი საქონლის დაბრუნება	-	(40)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	(26 337)	(12 854)
მიწოდების სხვა ხარჯები	(75 320)	(11 378)
შრომის ანაზღაურება	(518 009)	(443 094)
სოციალური ხარჯები	(5 801)	(3 915)
საიჯარო ქირა	(56 442)	(38 158)
კომუნალური მომსახურება	(627)	(369)
	(9 927)	(5 259)
სამივლინებო ხარჯები	(12 961)	(19 963)
დაზღვევის მომსახურება	(20 596)	(13 910)
რემონტი	(966)	
კომპიუტერის ხარჯები	(21 731)	(46)
კონსულტაციის ხარჯები	(7 943)	(1 391)
სხვა საგადასახადო ხარჯები	(1 335)	(484)
ბანკის ხარჯები	(6 716)	(5 640)

დირექტორი: გურამ ლემონჯავა

საოპერაციო ხარჯები	(341 423)	(224 547)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(637)	(1 313)
სხვა ზოგადი ხარჯები	(8 291)	(64 970)
საოპერაციო მოგება	(145 649)	86 981
არასაოპერაციო შემოსავალი	28 124	95 268
საპროცენტო შემოსავალი	2 087	
არასაოპერაციო მოგება	17 078	60 254
კონვერსიიდან მიღებული შემოსავალი	1 065	1 461
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	7 894	33 553
არასაოპერაციო ხარჯები	(63 513)	(129 792)
არასაოპერაციო ხარჯები	(27 286)	(49 771)
კონვერტაციის ხარჯი	(6 737)	(44 592)
პროცენტის ხარჯი	(26 801)	(9 437)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(2 689)	(25 992)
მოგება (ან ზარალი) გადასახდამდე	(181 038)	52 457
მოგების გადასახდის ხარჯი	(5 563)	-
საანგარიშო პერიოდის მოგება (ან ზარალი)	(186 601)	52 457